შეთანხმება

(ტუნიკა-ნაგებობის დემონტაჟისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე თანხმობის მიცემის თაობაზე)

ქ. თბილისი

2025 წლის 02 მაისი

ერთის მხრივ, შპს „იქსმშენ დეველოპმენტ“ (ს/კ 405243482), მის.: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, აკაკი ბაქრაძის ქ., № 16, ბ. № 72), წარმოდგენილი მისი დირექტორის, როინ გიგიაძის (პ/ნ 53001010157) მიერ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „იქსმშენი“),

და მეორეს მხრივ, **გურამ ყოლბაია, დაბადებული: 11.04.1959,** პასპორტის ნომერი: 551051059, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირის მე-2 ჩიხი, კორპუსი 5, ბინა 10. ტელ: +995577305040, +995577775591, +995 522222518

იმის გათვალისწინებით, **რომ გურამ ყოლბაია** არის რეგისტრირებული თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, **მიწის ნაკვეთის** საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.139 (შემდგომში „მიწის ნაკვეთი“) არსებულ **ნაგებობაში** (შემდგომში **„ნაგებობა“**) უძრავი ქონების: **კომერციული ფართი N157.** საიდენტიფიკაციო კოდი: 01.13.05.004.139.01.01.157 – 89 კვ.მ, I (პირველი) სართული და **კომერციული ფართი N161,** საიდენტიფიკაციო კოდი: 01.13.05.004.139.01.01.161 – 125.11 კვ.მ, I (პირველი) სართული მესაკუთრედ.

- ვინაიდან შპს „იქსმშენ დეველოპმენტს“ (ს/კ 405243482), შპს „გეითვეი ჰოლდინგს (ს/კ: 204531499), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფსა“ (ს/კ: 202446246) და შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ (ს/კ: 202210044) შორის, დადებულია 2020 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, პროკურატურის სიით განსაზღვრულ პირებს/დაზარალებულებს უნდა გადაეცეთ საკუთრებაში ფართები;

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N325 განკარგულების („ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ. N 01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ.N49 (ს/კ. N 01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ.N 01.13.05.004.059), კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ. N 01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ. N 01.13.05.004.058), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის“(ს/ნ 204531499), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ204460957), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) და შპს „იქსმშენ დეველოპმენტის“ (ს/ნ405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“) და, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310 განკარგულების („ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ. N 01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ.N49 (ს/კ. N 01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ.N

01.13.05.004.059), კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ. N 01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ. N 01.13.05.004.058), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის"(ს/ნ 204531499), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ204460957), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) და შპს „იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე") საფუძველზე, გაიცა თანხმობა კორექტირებულ განაშენიანების რეგულირებულ გეგმაზე, დადგინდა კორექტირებული კოეფიციენტები, პრეფერენციები და განისაზღვრა დამატებითი პირობები;

- ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ნორმატიული აქტების შესრულება მოითხოვს აღნიშნულ **მიწის ნაკვეთზე** არსებული **ნაგებობის** დემონტაჟს, ახალი მშენებლობის ნებართვის მოპოვებას და ყველა შესაბამისი ნებართვისა და თანხმობისა და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღებას,

- ვინაიდან **მიწის ნაკვეთზე** უნდა აშენდეს ახალი მრავალფუნქციური კომპლექსი,

მხარეები, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **გურამ ყოლბაია იქსმშენს** აძლევს გამოუხმობ, ერთმნიშვნელოვან, უპირობო თანხმობას და ანიჭებს, სრულ უფლებამოსილებას, განახორციელოს **ნაგებობის** დემონტაჟი;

2. **გურამ ყოლბაია** თანახმაა, **იქსმშენმა** ჩამოთვლილი ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტებით განსაზღვრული პირობების შესასრულებლად, საჭიროებისამებრ განახორციელოს ყველა საჭირო სამართლებრივი პროცედურა და მოქმედება მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის ყველა ეტაპის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით (მათ შორის: საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ განახორციელოს ნებისმიერი სახის ცვლილება (კორექტირება) ნებისმიერ პროექტში ან/და **მიწის ნაკვეთის** საზღვრებში, წითელი ხაზებში, **მიწის ნაკვეთზე** მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში, განაშენიანების რეგულირების გეგმაში, შეთანხმებულ პროექტებსა და მშენებლობის ნებართვებში (სამშენებლო/საპროექტო დოკუმენტაციაში), შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და აიღოს მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, იყოს პროექტის დამკვეთი, მშენებლობის მწარმოებელი პირი, გამოიწვიოს ან გააერთიანოს გრუ-ში შემავალი **მიწის ნაკვეთები**, განახორციელოს **მიწის ნაკვეთზე** (სადაც მდებარეობს **ნაგებობა** და სადაც განთავსებული იქნება მრავალფუნქციური კომპლექსი) არსებული საცხოვრებელი ბინების, არასაცხოვრებელი კომერციული ფართის, პარკინგის, სარდაფების და სხვა ნებისმიერი ფართის განშლა), მოახდინოს მშენებარე ფართების განაწილება და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, დაყოს და გააერთიანოს ფართები კორექტირებულ პროექტში;

3. აღნიშნული ასევე გულისხმობს, რომ **გურამ ყოლბაია** თანახმაა, მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ახალი ნებართვის აღებასა და ყველა იმ იურიდიული, თუ ტექნიკური პროცედურის თაობაზე, რაც აუცილებელია **ნაგებობის** დემონტაჟისათვის, მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განსახორციელებლად, დასასრულებლად და ექსპლუატაციაში მისაღებად. ზემოაღნიშნული მიზნებისთვის დამატებითი ხელმოწერის ანდა თანხმობის აუცილებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია აღნიშნულზე შეტყობინებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაადასტუროს თანმობა ხელმოწერით ნოტარიუსთან, მერიაში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში.

4. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის გზით, შეთანხმების მე-2 პუნქტის მიზნების გათვალისწინებით, **გურამ ყოლბაია** ანიჭებს **იქსმშენს** უპირობო და გამოუხმობად თანხმობას, რომ **იქსმშენმა** განახორციელოს უფლებამოსილება, კერძოდ, წარმოადგინოს იგი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებში (მიუხედავად იმისა, რომ ყველა სსიპ-ის და სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება არ წერია, იგულისხმება ყველა მათგანში წარმომადგენლობის უფლებამოსილება), განახორციელოს წარმომადგენლობა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში". წინამდებარე თანხმობა ძალაშია **იქსმშენის** ნებისმიერი უფლებამონაცვლისთვის საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გასხვისებისას.

5. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე შეთანხმების მე-2 და მე-3 პუნქტები განიხილება ამავე პუნქტების შინაარსით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ, რომ **გურამ ყოლბაია** გამოთქვამს სრულ და საკმარის თანხმობას და არაეინ შეიძლება დააყენოს იგი ეჭვქვეშ, ან დამატებით მოსთხოვოს **იქსმშენს** სხვა სახის თანხმობა ან/და დამატებითი დოკუმენტი, ამ პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გარემოების გამო, ამ შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით საჭირო იქნება თანხმობა ან/და დოკუმენტი ან/და ქმედება, რომლის განმახორციელებელი/გამცემი უნდა იყოს **გურამ ყოლბაია** , იგი ვალდებულია გასცეს ამგვარი თანხმობა/დოკუმენტი ან/და განახორციელოს მოთხოვნილი ქმედება.

7. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, **მიწის ნაკვეთზე** არსებულ ნაგებობაზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების მქონე ყველა პირის მიერ, იდენტურ შეთანხმებაზე ხელმოწერიდან არა უმეტეს 24 თვისა, **იქსმშენი** ვალდებულია, ამავე მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოს განშლის რეგისტრაცია, სადაც, იგივე მოცულობითა და მახასიათებლების მქონე - **იგივე მახასიათებლები და მოცულობა გულისხმობს ქ. თბილისში ნ. ხოშარაულის 29, ბლოკ 4-5 შორის (იხ. დანართი N2) კომერციული ფართი - 89 კვ.მ, I სართული და კომერციული ფართი – 125.11 კვ.მ, I სართული (ნიკოლოზ**

ბარათაშვილის საბელობის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე) - ფართებს მიიღებს გურამ ყოლბაია.

8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ზემოაღნიშნულ ნაგებობაზე საქართველოს პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილი, რეგისტრირებული საკუთრების მქონე ყველა პირის ხელმოწერის, ნოტარიული დამოწმების პროცედურის შემდგომ.

9. წინამდებარე თანხმობა ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან მიწის ნაკვეთზე ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე.

10. ამავე შეთანხმებას თან ერთვის დანართები: 1. უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება - 11 ფურცლად 2. გენ.გეგმა - 2 ფურცლად, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იქსმენ დეველოპმენტ"

როინ ვიგიაძე პ/ნ 53001010157

გურამ ყოლბაია

გურამ ყოლბაია, პასპორტის ნომერი: 551051059

უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის
ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია თბილისში, 2025 წლის 2 მაისს, შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს „იქსმენ დეველოპმენტ"** (ს/ნ405243482), წარმოდგენილი როინ გოგიაძეს, (პ/ნ 53001010157) (შემდგომში„გამყიდველი") მიერ, ტელ: 599841584

და

მეორე მხრივ, **გურამ ყოლბაია, დაბადებული: 11.04.1959, პასპორტის ნომერი: 551051059** მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირის მე-2 ჩიხი, კორპუსი 5, ბინა 10

ტელ: +995577305040, +995577775591, +995 522222518

ხელშეკრულებაში, გამყიდველი და მყიდველი ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე".

პრეამბულა

1. გამყიდველი, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, გადასცემს მყიდველს ნასყიდობის საგანს საკუთრებაში, ქვემოთ მითითებული პირობების შესრულების/არსებობის შემთხვევაში:

1.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გასცემს კომპანიის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვას;

1.2.გამყიდველი გააფორმებს ანალოგიურ ხელშეკრულებებს/წინარე ხელშეკრულებებს მიწის ნაკვეთზე პროკურატურის სიით განსაზღვრულ ყველა პირთან;

1.3. შესრულდება ამ ხელშეკრულების პირობები.

1.4. „პირვანდელი გამყიდველი" ამ ხელშეკრულებაში მოიაზრება შპს „ცენტრ პოინტ სიტი" (ს/ნ 202210044).

2. მყიდველი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით აცხადებს თანხმობას, რომ მას გამყიდველთან მოთხოვნა გააჩნია, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით და მხოლოდ მაშინ, თუ სახეზე იქნება პრეამბულის პირველ პუნქტში მითითებული პირობები და რომ გამყიდველი არ არის პასუხისმგებელი მყიდველსა და ნებისმიერ სხვა პირს შორის არსებულ ნებისმიერ სხვა მოთხოვნასა თუ ვალდებულებაზე.

3. გამყიდველი, ცალმხრივი გადაწყვეტილებით, უფლებამოსილია პრეამბულის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე პირობის შეუსრულებლობის მიუხედავად, იკისროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რა შემთხვევაშიც ჩაითვლება რომ მყიდველს გაცემული აქვს წინასწარი თანხმობა და ის ავტომატურად დაეთანხმა გამყიდველის აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მხარეები შეთანხმდით, რომ გამყიდველი გადასცემს მყიდველს ქ. თბილისში, **ხოშარაულის ქუჩა 29-ში (მიწის საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.139)** ასაშენებელ კორპუსში (შემდგომში„შენობა") შემდეგი მახასიათებლების მქონე უძრავ ქონებას, კომერციულ ფართებს: N1: ქ. თბილისი, ნ. ხოშარაულის 29, ბლოკი 4-5, I (პირველი) სართული, **ფართი 89 კვ.მ** (წიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარე) და N2: ქ. თბილისი ნ. ხოშარაულის

გურამ ყოლბაია

29, I (პირველი) სართული, ბლოკი 4-5, ფართი 125.11 კვ.მ (ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მეტჯრის მარცხენა სანაპიროს მხარე) შემდგომში "ნასყიდობის საგანი") საკუთრებაში.

1.2. მყიდველს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება (მათ შორის, მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაცია) გადაეცემა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო მყიდველისთვის ნასყიდობის საგნის დასრულებულ, ამავე ხელშეკრულების დანართში განსაზღვრულ მდგომარეობაში საბოლოოდ საკუთრებაში და შესაბამისად მფლობელობაში გადაცემა განხორციელდება არაუგვიანეს გამყიდველის მიერ მშენებლობის ნებართვის აღებიდან 48 §(ორმოცდარვა) თვის ვადაში, გამყიდველის ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება საპატიოდ თუ ასეთი რამ გაგრძელდება არაუმეტეს 6 თვე. ამასთან, განშლა უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის აღებიდან არა უმეტეს 10 (ათი)თვეში, ხოლო მფლობელობაში გადაცემა **განხორციელდება არაუგვიანეს 2030 (ორი ათას ოცდაათი) კალენდარული წლის ხოლო თვეს**, ამ შემთხვევაშიც გამყიდველის ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება საპატიოდ თუ ასეთი რამ გაგრძელდება არაუმეტეს 6 თვე.

მუხლი 2. ნასყიდობის საგნის ღირებულება (ნასყიდობის ფასი)

2.1. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ, რომ მყიდველს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტისათვის პირვანდელი გამყიდველისათვის **579 715 (ხუთას სამოცდა ცხრამეტი ათას შვიდას თხუთმეტი) აშშ დოლარის ექვ. ლარში ლარი აქვს გადახდილი**, ნასყიდობის ფასი სრულად. შესაბამისად, გამყიდველსა და პირვანდელ გამყიდველს შორის დადებული შეთანხმებიდან გამომდინარე, მყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი ეთვლება სრულად გადახდილად და გამყიდველს არ აქვს და არც მომავალში ექნება დამატებით რაიმე ფორმით თანხის მოთხოვნის უფლება მყიდველის მიმართ გარდა დარჩენილი გადასახდელი თანხისა. აგრეთვე, კომუნიკაციების თანხისა, რომლიც მონტაჟის დროს განისაზღვრება სემეკის მიერ. (თავდაპირველ გამყიდველში იგულისხმება შპს ცენტრ პოინტ სიტი ს/კ 202210044).

2.2. მყიდველს კომერციული ფართის მიღების შემდგომ არ აქვს და არც მომავალში ექნება რაიმე ფორმით თანხის აწ წებისმიერი მოთხოვნის უფლება გამყიდველის მიმართ და მის მიმართ ვალდებულება ჩაითვლება სრულად შესრულებულად.

მუხლი 3. ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

3.1. ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებული გარემოებების შესრულების შემთხვევაში და ასაშენებელი შენობის განშლის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის პრეამბულაში მითითებული გარემოებები) შესრულების შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია, განშლის დოკუმენტში გაითვალისწინოს ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლება, რაზედაც მყიდველი ამ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით აცხადებს თანხმობას. განშლის კრების ოქმში, ფართები, რომლებიც გადაეცემათ მყიდველებს, განისაზღვრება იქსმშენი დეველოპმენტის სახელზე. განშლის კრების ოქმის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, ინდივიდუალურად გადაეცემათ საკუთრებაში, ხოლო შენობა-ნაგებობის დასრულების შემდგომ მფლობელობაშიც. ამასთან, მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის რეგისტრაციისათვის აუცილებელი თანხმობის ან/და მისგან აუცილებელი დოკუმენტის/თანხმობის გაცემა.

3.2. გამყიდველის მიერ განშლის დოკუმენტში ნასყიდობის საგნის მესაკუთრედ მყიდველის გათვალისწინების, ნასყიდობის საგნის საჯარო რეესტრის ამონაწერში მყიდველის მესაკუთრედ რეგისტრაციისა და ნასყიდობის საგნის მფლობელობაში ამავე ხელშეკრულებით დადგენილ

ვადებში გადაცემის შემდეგ, ჩაითვლება რომ გამყიდველმა სრულად შეასრულა მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება.

3.3 საჯარო რეესტრის ამონაწერში მყიდველის მიერ შებენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრაციის შემდეგ ჩაითვლება, რომ „პირვანდელმა გამყიდველმა" სრულყოფილად შეასრულა თავისი წილი სახელშეკრულებო ვალდებულება მყიდველთან მიმართებაში და მყიდველს არანაირი პრეტენზია, არც ახლა და არც მომავალში და არც არანაირი მოთხოვნის უფლება „პირვანდელ გამყიდველთან" მიმართებაში აღარ ექნება.

მუხლი 4. ნასყიდობის საგნის მდგომარეობა, გადაცემის დრო და ადგილი

4.1. ნასყიდობის საგანი მყიდველს უნდა გადაეცეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ მდგომარეობაში.

4.2. მყიდველისათვის ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემის მომენტისათვის ნასყიდობის საგანი უნდა იყოს ნივთობრივი ნაკლისაგან თავისუფალი, ხოლო საკუთრების უფლების გადაცემის დროისათვის კი - გამყიდველის ბრალით გამოწვეული უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი.

4.3. ნივთობრივად უნაკლო ნასყიდობის საგნის ქვეშ მყიდველი და გამყიდველი გულისხმობენ ნასყიდობის საგანს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ მდგომარეობაში.

4.4. უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგნის ქვეშ მყიდველი და გამყიდველი გულისხმობენ იმას,რომ გამყიდველის ბრალიდან გამომდინარე მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნასყიდობის საგნის გამო.

4.5. მხარეები ადასტურებენ, მესამე პირების მიერ დადებულ ყადაღაზე და/ან სხვა სახის სამართლებრივ შეზღუდვაზე ან/და სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს ან/და საგამოძიებო ორგანოს ან/და მიერ დაწესებულ შეზღუდვაზე ამგვარი შეზღუდვის შედეგებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება გამყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ყადაღა ან სხვა სახის სამართლებრივი შეზღუდვა დადებულია გამყიდველის ბრალით.

4.6.მყიდველისათვის ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემა განხორციელდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის მომენტამდე გამყიდველის ბრალეული ქმედებით ნასყიდობის საგნის დაზიანების, განადგურების ან სხვა შესაძლო რისკების მატარებელი იქნება გამყიდველი.

4.7. ნასყიდობის საგნის გადაცემის ადგილია ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული მისამართი.

4.8. მხარეები თანხმდებიან, რომ დასაშვებია ფართის ცდომილება 2 კვ.მ-ის ფარგლებში. აღნიშნულის ფარგლებში ცდომილება არ ანაზღაურდება. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას განხორციელდება ნასყიდობის საგნის აზომვა და აღმოჩნდება, რომ ცდომილება ნაკლებია/აღემატება 2 კვ.მ-ს, განხორციელდება ღირებულების ანაზღაურება დაშვებულზე (2 კვ.მ) მეტი/ნაკლები ცდომილების ყოველი კვადრატული მეტრისათვის ნასყიდობის ფასის პროპორციულად (ასანაზღაურებელი თანხა თითოეული კვადრატული მეტრისათვის მიიღება ნასყიდობის ფასის გაყოფით ნასყიდობის საგნის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კვადრატულობაზე). აღნიშნული ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება როგორც გამყიდველზე (ფართის ნაკლებობის შემთხვევაში), ასევე მყიდველზე (ფართის მეტობის დროს).

4.9. მხარეები შეთანხმდით, რომ ნასყიდობის საგნის ფართის დაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპის დაცვით: ნასყიდობის საგნის ფართში შედის ნასყიდობის საგნის შიდა ტიხრები, კოლონები, შახტები, აივნები/ტერასები (არსებობის შემთხვევაში), შემომსაზღვრელი სამეზობლო კედელ(ებ)ის სისქის ნახევარი. იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მიერ პროკურატურის სიით მისაღები იყო გარკვეული ფართი, ხოლო ნასყიდობის საგნის შერჩევა განხორციელდა

ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდით სწორედ ნასყიდობის საგნის ხელშეკრულების 1.1. მუხლით გათვალისწინებულ მოცულობაზე, რაც არის იმაზე მეტი ან იმის ტოლი, რაც იგი (მყიდველის მიერ მისაღები ფართი) იყო განსაზღვრული პროკურატურის სიით.

4.10. შენობის ექსპლუატაციაში შესვლიდან მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მყიდველი ვალდებულია, ნასყიდობის საგნის სარემონტო სამუშაოები (გარდა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოებისა) განახორციელოს მხოლოდ გამყიდველთან წინასწარი შეთანხმებით. მხარეები აგრეთვე ვთანხმდებით, რომ თუ მყიდველი უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, ასეთ შემთხვევაში მყიდველის მიერ ნასყიდობის საგანზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები(გაუმჯობესება) არ ექვემდებარება ანაზღაურებას გამყიდველის მხრიდან და მყიდველისათვის სარემონტო სამუშაოების ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე დარჩება გამყიდველს, ამასთან, მყიდველის დაკმაყოფილება მოხდება ხელშეკრულების 6.2 პუნქტით დადგენილი წესით.

4.11. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი აცნობებს მყიდველს ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემის თაობაზე, მიუთითებს გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთ) სამუშაო დღეს, ამ ვადის გასვლის შემდეგ დამატებით, 30 (ოცდაათ) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ თუ მყიდველი კიდევ დააყოვნებს ნასყიდობის საგნის მფლობელობაში მიღებას და/ან არ მოაწერს ხელს მიღება-ჩაბარების აქტს, ნასყიდობის საგნის დაზიანების, განადგურების ან სხვა შესაძლო რისკები, ასევე, ნებისმიერი საგადასახადო ტვირთი, რომელიც ეკისრება გამყიდველს, გადავა მყიდველზე. ამასთან, ამგვარი დარღვევა ჩაითვლება მყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე უარად და გამყიდველს უფლება აქვს, გაყიდოს უბრავი ქონება, დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან (იგივეა, რაც ხელშეკრულების დადების თარიღი) და მოქმედებს მხარეთა შორის ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

5.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

5.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

5.2.2.მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებით;

5.2.3. კანონითა ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

6.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდება შეთანხმებული ფართის საბაზრო ღირებულების შესაბამისად, ნასყიდობის საგნის სხვა პირზე გაყიდვის შემდეგ, ამ უკანასკნელთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკის მიხედვით. მყიდველი ადასტურებს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოითხოვს ნასყიდობის საგნის საფასურის დაუყოვნებლივ გადახდას და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნია.

6.3. მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი იმ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად/არასრულად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, 3.1, 4.10, 4.11, 10.6 პუნქტები), რომელიც არ არის დაკავშირებული ფულად ვალდებულებასთან, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს განუსაზღვროს დამატებითი 1 კვირიანი ვადა, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია

დააკისროს მყიდველს ჯარიმა ნასყიდობის ფასის 0.1 პროცენტის ოდენობით ვალდებულების დარღვევის ყოველ დღეზე, ვალდებულების შესრულებამდე. აღნიშნული ჯარიმის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის საგნის სრული ღირებულების 3%-ს.

6.4. თითოეული მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ამით მიყენებული ზიანი.

6.5. გამყიდველი უფლებამოსილია გადააცილოს მყიდველისათვის ფართის მფლობელობაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების 1.2 მუხლით განსაზღვრულ ვადას არაუმეტეს 6(ექვსი)თვით, რაც არ მიიჩნევა გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევად.

6.6. მყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ ამ დროისათვის ნასყიდობის საგანში ამოყვანილი იქნება ტიხრები მყიდველის სურვილის შესაბამისად, გამყიდველი უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვოს მყიდველს გაწეული ხარჯებისა და ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურება.

6.7. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს/ჯარიმის მოთხოვნა წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას, ამავდროულად, მხარეები თანხმდებიან, რომ არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის/სანქციის მოთხოვნისას შესაბამისი ოდენობის ჩათვლა/დაკავება ან/და გამოქვითვა მოახდინონ უკვე შესრულებული ვალდებულებიდან (მათ შორის მყიდველის მიერ უკვე გადახდილი ნასყიდობის საფასურიდან დაქვითვა და სხვა).

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

7.1.დაუძლეველი ძალის დადგომისას, დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან დახელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები გადაიწევს დაუძლეველი ძალის მოქმედების ვადით.

7.2.დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების გაფორმების დროს ან/და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, მათ შორის, წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდმთვლობა და სხვა ისეთი კლიმატური პირობების დადგომა, რაც შეუძლებელს ხდის მშენებლობის განხორციელებას, შენობისმშენებლობის შეჩერება გამყიდველის ბრალის გარეშე (მათ შორის, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით), ომი და საომარი მოქმედებები, რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ სხვადასხვა საფუძვლით მშენებლობის შეჩერება, სამთავრობო და სასამართლო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა დაცვლილებებთან ან უამისოდ, რომლებიც აუარესებენ ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს დარეგიმს.

7.3 თუ რომელიმე ზემოთხსენებულმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები გაიზრდება ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად.

7.4 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდავალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ათი კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

7.5.შეუტყობინებლობის ან/და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობის

მყიდველის შესვლას მიწის ნაკვეთზე - სამშენებლო უბანზე, წინასწარ შეთანხმებულ დროს, გონივრული პერიოდულობით და მხოლოდ გამყიდველის წარმომადგენლის თანდასწრებით.

10.2. მყიდველი იღებს ვალდებულებას, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღებიდან მომდევნო 2 წლის განმავლობაში გამყიდველის თანხმობის გარეშე, არ შეცვალოს ნასყიდობის საგანზე მისი (ნასყიდობის საგნის): ფასადი, ფასადებზე არსებული ღიობების ზომები, ფერი, ფასადების ელემენტები, აივნები, ტალუზები, ლოჯიები, მოაჯირები, გისოსები და სხვა.მყიდველს აგრეთვე უფლება არა აქვს, ისარგებლოს შენობის პროექტით გამყიდველის თანხმობის გარეშე, ან შელახოს გამყიდველის საავტორო უფლებები სხვა გზით. მყიდველის მიერ ამ ვალდებულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, თუკი გაფრთხილების 1 კვირიანი ვადა უშედეგოდ გავიდა, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველდღიურად ნასყიდობის ფასის 0.1%-ის ოდენობით, რომლის დარიცხვა გაგრძელდება მყიდველის მიერ დარღვევების აღმოფხვრამდე (დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენამდე იგი ვალდებული იქნება ააშაღაუროს დადასტურებული ზიანი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. მყიდველი/ნასყიდობის საგნის ყოველი ახალი მესაკუთრე ვალდებულია ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების ყოველი გადაცემისას (მათ შორის, მომავალი საკუთრების უფლებით ან/და უფლებამონაცვლეობის წებისმიერი ფორმის შემთხვევაში) ან სარგებლობის უფლების გადაცემისას ხელშეკრულებებში მიუთითოს ხელშეკრულების 10.2 მუხლში აღნიშნული ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის და შემძენის მიერ ამ ვალდებულების დაცვის შესახებ. შემძენის (მესაკუთრის/მომავალი მესაკუთრის/უფლებამონაცვლის ან მოსარგებლის მიერ) მიერ ხელშეკრულების 10.2 მუხლით განსაზღვრული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში დამრღვევს დაეკისრება ხელშეკრულების 10.2 მუხლით განსაზღერული პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ყოველ ახალ შემძენთან ხელშეკრულებაში არ იქნება ჩანაწერი ხელშეკრულების 10.2 მუხლში მითითებული ვალდებულებისა და დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, გამყიდველი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების 10.2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის ამავე 10.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო დააკისროს მყიდველს ან/და ნასყიდობის საგნის ყოველ ახალ მესაკუთრეს, რაც არ ართმევს გამყიდველს უფლებას, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ შესაბამისი მოთხოვნა/პრეტენზიები წაუყენოს შემძენს (მესაკუთრეს/მომავალ მესაკუთრეს /უფლებამონაცვლეს /მოსარგებლეს).

10.4. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მყიდველი თანხმობას აცხადებს მასზე, რომ გამყიდველი უფლებამოსილია, მყიდველის თანხმობის, ნებართვისა თუ მოწონების გარეშე, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, მხოლოდ ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნებისთვის განახორციელოს: მიწის ნაკვეთის დაყოფა, გაერთიანება, სერვიტუტით/უზუფრუქტით დატვირთვა, მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება, განაშენიანების რეგულირების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის/მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება (დადგენა)/ცვლილება, შენობის პროექტის კორექტირება (რაც გულისხმობს გამყიდველის შეხედულებისამებრ აგრეთვე ნასყიდობის საგნის როგორც რეგისტრირებული, ისე რეალური ფართის/სართულის დაკორექტირებას/ცვლილებას, მათ შორის მახტ(ებ)ის ან/და კოლონ(ებ)ის მდებარეობის ან/და გაბარიტების ცვლილებას, შენობის გარეგნული იერსახის/ფასადის/მოსაპირკეთებელი მასალის/ჟალუზების/გისოსების/ფასადის სხვა ელემენტების ცვლილებას, ასევე საერთო სარგებლობის ფართის/სადარბაზოს მოპირკეთების ცვლილებას და ა.შ.), საერთო სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ფართის (მათ შორის სადარბაზოს ფართის) მიერთება შენობაში განთავსებულ ნებისმიერ ფართთან/ბინასთან/კომერციულ და/ან საოფისე ფართთან, კორექტირებული პროექტის შეთანხმება ან/და მშენებლობის ნებართვის აღება, საამისოდ საჭირო ნებისმიერი ქმედების განხორციელება,მიწის ნაკვეთზე განთავსებული ხე-ნარგავების გადარგვის/მოჭრის მიზნით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან საჭირო ნებართვის მოპოვება, მიწის ნაკვეთზე

განთავსებული ხე-ნარგავების გადარგვა/მოჭრა და ამისათვის საჭირო ნებისმიერი ქმედების განხორციელება. შენობაში განთავსებული/განსათავსებელი ფართების განშლის ან/და განშლაში ცვლილებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მათ შორის განშლის ან/და განშლის იმგვარი ცვლილებების რეგისტრაცია, რომლებიც შეეხება ნასყიდობის საგანს, შენობაში განთავსებული ბინების/კომერციული და/ან საოფისე და/ან სხვა ფართების/ავტოსადგომების/ღია ავტოსადგომების ნუმერაციის/სართულის/მდებარეობის/კონფიგურაციის/ნიშნულის შეცვლა, ამ პუნქტში აღნიშნული ქმედებების შედეგად, მიწის ნაკვეთზე მყიდველის შესაბამისი წილის შემცირება/გაზრდა. მყიდველი ადასტურებს აგრეთვე, რომ მას არავითარი უფლება არა აქვს მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სხვა შენობებთან (არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით და ამდენად, არც ამ შენობებში განთავსებულ საერთო სარგებლობის ფართებთან მიმართებაში. მხარეები ვადასტურებთ აგრეთვე, რომ ამ პუნქტში აღნიშნული ჩამოწათვალი არ არის ამომწურავი და გამყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საერთო საკუთრებაში მყიდველის წილის ნებისმიერი სახით მართვა ან/და განკარგვა,თუმცა აღნიშნული უფლებების სარგებლობისას არ უნდა შეიცვალოს მყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდებარეობა და კვადრატულობა. ამ პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით გამყიდველი ისარგებლებს შეუზღუდავად სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით და მანამ, სანამ იგი (გამყიდველი) რეგისტრირებული იქნება მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედან შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდე (რომელიც უფრო გვიან დადგება).მყიდველი აცხადებს თანხმობას, მასზედ რომ მიწის ნაკვეთზე და/ან მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ზე გამყიდველმა შესაძლოა განახორციელოს სხვა შენობ(ებ)ის მშენებლობა, რასთან დაკავშირებით მყიდველს არ აქვს პრეტენზია. ამასთან, გამყიდველი არ არის პასუხისმგებელი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ზე სხვა პირ(ებ)ის მიერ წარმოებული მშენებლობების და/ან ამ მშენებლობებით გამოწვეულ უარყოფით შედეგზე/ზიანზე. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ცვლილებები გამყიდველმა უნდა განახორციელოს იმდაგვარად, რომ არ შემცირდეს ნასყიდობის საგნის საერთო ფართი ხელშეკრულების 4.8. მუხლით გათვალისწინებულ ცდომილებაზე მეტი ოდენობით.

10.5. იმ შემთხვევაში თუ გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის/ვალდებულებების შესასრულებლად დასჭირდება მყიდველის მხრიდან გაცემული თანხმობა, მყიდველი ვალდებულია გამყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს 14 სამუშაო დღის ვადაში გასცეს აღნიშნული თანხმობა (ნებართვა) გამყიდველის მიერ მოთხოვნილი ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაშიმყიდველის მიერ თანხმობის გაცემამდეპროპორციულად გადაიწევს გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულება (რის შესასრულებლად აუცილებელი გახდა მყიდველის მხრიდან თანხმობის გაცემა), ამასთან მყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს გამყიდველს თანხმობის/ნებართვის გაუცემლობით მიყენებული ზიანი.

10.6.ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ყველა სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობასთან, მათ შორის, ნასყიდობის საგანზე ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაციასთან (გამომდინარე იმ შენობის, სადაც განთავსებულია ნასყიდობის საგანი, გაწეულ იქნება მყიდველის მიერ.

10.7.თითოეული მხარე ვალდებულია, გადაიხადოს ხელშეკრულების დადების გამო საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კუთვნილი გადასახადები (არსებობის შემთხვევაში).

10.8. იმის გათვალისწინებით , რომ მყიდველს სრულად ექნება დაფარული შეძენილი უძრავი ქონების ღირებულება, რა დროსაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულების აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად მხარეები თანხმდებიან , რომ გამყიდველი უძრავი ქონების გადაცემის მზადყოფნის თაობაზე შეატყობინებს მყიდველს , ხოლო

მყიდველი ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში ვალდებულია ჩაიბაროს შეძენილი უძრავი ქონება. იმ შემთხვევაში თუ მყიდველი დაარღვევს დადგენილ პირობას, ჩაითვლება, რომ გამყიდველმა ჩააბარა მყიდველს შეძენილი უძრავი ქონება და სრულად შეასრულა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

10.9.ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

10.10.ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.11.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება–მოვალეობა ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეებზე/ სამართალმემკვიდრეებზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ გამორიცხავს თავდაპირველი გამყიდველის პასუხისმგებლობას და გამყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იმოქმედებს თავდაპირველ გამყიდველთან დადებული ხელშეკრულება.

10.12.ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის ბათილად/ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლის/პუნქტის ბათილობას/ძალადაკარგულობას. მხარეები ყველა შესაძლო ზომას მიიღებენ, რათა ამგვარ ბათილ/ძალადაკარგულ დებულებაში შეტანილ იქნას ცვლილება ან შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე მსგავსი შინაარსის დებულებით,რათაშესაძლებელი იყოს ხელშეკრულების მიზნის შენარჩუნება.

10.13. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა უნდა მოხდეს მხარეთა ხელშეკრულებაში მითითებულმისამართებზე/ელ.ფოსტის მისამართზე/ტელეფონზე. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე/ელ. ფოსტის მისამართზე/ტელეფონის ნომერზე ჩაითვლება შესაბამისი მხარისთვის შეტყობინების/დოკუმენტის ოფიციალურად გაგზავნად. მხარე ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მოწაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად. ამასთან, გამყიდველის მიმართ ყველა შეტყობინება უნდა განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. გამყიდველისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და ავთენტურად, მხოლოდ გამყიდველის მიერ მიღების დადასტურების შემთხვევაში.

10.14.ხელშეკრულების მუხლებს აქვთ სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ხელშეკრულების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცველად ან განსამარტავად.

10.15. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დამატებით შესრულებულია ინგლისურ ან რუსულ ენაზე, ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად მხარეები აცხადებენ, რომ ქართულ და ინგლისურ/რუსულ ვერსიებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, ქართულ ვერსიას ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა.

10.16. ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალას კარგავს მხარეთა შორის გაფორმებული ნებისმიერი ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება/ხელშეკრულება/დოკუმენტი და მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულებით.

10.17. ხელშეკრულების საფუძველზე, თანამესაკუთრეები (თუ მყიდველი 2 ან მეტი პირია) წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, შესაბამისად გამყიდველს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმ ქმედების განხორციელება, რომელიც მყიდველს ეკალება. თავისი

სურვილისამებრ მოსთხოვოს ნებისმიერ მათგანს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

10.18. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების გზით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დაწართს და მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეები ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების/მისი ცვლილებ(ებ)ის/დამატებების ან/და დანართ(ებ)ის წერილობითი ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია თითოეული მხარის მიერ ერთი და იმავე შინაარსის დოკუმენტ(ებ)ის (ხელშეკრულება/ცვლილება/დამატება/დანართი) იმ ეგზემპლარის ხელმოწერა, რომელიც გაგზავნილია მეორე მხარისთვის და თითოეული მხარის მიერ ამგვარად (ცალ-ცალკე) ხელმოწერილი იდენტური ეგზემპლარის დასკანერებული ვერსიის ურთიერთგაცვლა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების/მისი ცვლილებ(ებ)ის ან/და დანართ(ებ)ის წარდგენა მოხდება საჯარო რეესტრში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.19.ხელშეკრულება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლიდანაც გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ.

10.20.მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სრულად გვესმის ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი და ვეთანხმებით მათ, რის დასტურადაც ხელს ვაწერთ მას.

გამყიდველი: შპს „იქსმშენ დეველოპმენტ" (ს/ნ 405243482) როინ გიგიაძე ა/ნ 53001010157

მყიდველი: გურამ ყოლბაია პასპორტის ნომერი: 551051059

დანართი:

მყიდველისთვის გადასაცემი უძრავი ქონების მახასიათებლები

მყიდველი ვალდებულია გადასცეს ნასყიდობის საგანი შემდეგ მდგომარეობაში (თეთრი კარკასი):

1. ფასადზე კარფ-ფანჯარა დამონტაჟებულო;
2. მოპირკეთებული გარე ფასადი;
3. იატაკი მოჭიმული (გარდა სველი წერტილებისა);
4. ტიხრები;
5. გალესილი კედლები (გარდა სველი წერტილებისა);
6. მოპირკეთებული ჰოლი, სადარბაზო და კორიდორები;
7. აივნები და კიბის უჯრედების მოაჯირები - დამონტაჟებული;
8. გადახურვა - დასრულებული;
9. ელექტრობის, ცივი წყლის, კანალიზაციისა და გაზის დგარები მიყვანილი ბინამდე (მრიცხველების გარეშე);
10. გარე კომუნიკაციები მოწყობილი;
11. ლიფტი - დამონტაჟებული.

გამყიდველი: შპს „იჭიმშენ დეველოპმენტ“ (ს/ნ 405243482) როინ გიგიაძე პ/ნ 53001010157

მყიდველი: გურამ ყოლბაია პასპორტის ნომერი: 551051059

СОГЛАШЕНИЕ

(о даче согласия на демонтаж зданий и сооружений и мероприятиях, необходимых для осуществления строительной деятельности)

г. Тбилиси

2025. 02 мая

С одной стороны, **ООО «Иксмшен Девелопмент» (и/к 405243482)**, адрес: Грузия, Тбилиси, район Сабуртало, ул. Акакия Бакрадзе, № 16, кв. № 72), представленный в лице директора Гигиадзе Роина (л/н 53001010157) (далее именуемый как «Иксмшен»),

и с другой стороны, **Колбая Гурами**, дата рождения: 11.04.1959, номер паспорта: 55 1051059, адрес: г. Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 2-й переулок, корпус 5, квартира 10. Тел: +995577305040, +995577775591, +995 522222518

Учитывая, что **Колбая Гурами** зарегистрирован собственником в г. Тбилиси, ул. Хошараули N29, кадастровый код земельного участка: 01.13.05.004.139 (далее именуемый «Земельный участок») в существующем здании (далее именуемом «Здание») недвижимых имуществ: коммерческая коммерческая площадь N157, идентификационный код: 01.13.05.004.139.01.01.157 – 89 кв.м., I (первый) этаж и коммерческая площадь N161, идентификационный код: 01.13.05.004.139.01.01.161 – 125,11 кв.м., I (первый) этаж.

- В виду того, что 9 октября 2020 года был заключен договор между **ООО «Иксмшен Девелопмент» (и/к 405243482)**, **ООО «Гейтвэй Холдингс» (и/к: 204531499)**, **ООО «Кавказский Поинт Груп» (и/к: 202446246)** и **ООО «Центр Поинт Сити» (и/к: 202210044)**, в соответствии с которым площади должны быть переданы в собственность лицам/потерпевшим, определённым в списке прокуратуры;

- Распоряжение Сакребуло Муниципалитета Тбилиси № 325 от 23 июля 2021 года («В Тбилиси, ул. Хошараули № 29 (к/к № 01.13.05.004.139), ул. Космонавтов № 49 (к/к № 01.13.05.004.142), ул. Космонавтов № 47 (к/к № 01.13.05.004.059), набережная Космонавтов № 45 (к/к № 01.13.05.004.173), набережная Космонавтов № 51г (к/к № 01.13.05.004.058), с целью завершения существующего незавершенного строительства, ООО «Гейтвэй Холдинг» (и/н № 204531499), ООО «Центр Пойнт Груп» (и/н 204460957), ООО «Кавказский Поинт Груп» (и/н 202446246) и ООО «Иксмшен Девелопмент» (и/н 405243482) по вопросу согласования использования дополнительных/уточненных мер поддержки»), а также Распоряжение Сакребуло Муниципалитета Тбилиси № 310 от 20 октября 2020 года («В Тбилиси, ул. Хошараули N29 (к\к 01.13.05.004.139), ул. Космонавтов N49 (к/к 01.13.05.004.142), ул. Космонавтов N47 (к/к 01.13.05.004.059), набережная Космонавтов N45 (к/к 01.13.05.004.173), Набережная Космонавтов N51г (к/к № 01.13.05.004.058) с целью завершения существующего незавершенного строительства, на основании соглашения по вопросу применения мер содействия к ООО «Гейтвэй Холдинг» (и/н № 204531499), ООО «Центр Пойнт Групп» (и/н № 204460957), ООО «Кавказский Пойнт Групп» (и/н № 202446246) и ООО «Иксмшен Девелопмент» (и/н № 405243482) в целях завершения существующего незавершенного строительства) выдано согласие на скорректированный план регулируемой застройки, установлены скорректированные коэффициенты, преференции и определены дополнительные условия;
- В виду того, что выполнение вышеуказанных договоров и нормативных актов требует демонтажа существующего строения на вышеуказанном земельном участке, получения нового разрешения на строительство, а также получения всех соответствующих разрешений и согласий и документов, предусмотренных этим Договором,
- В виду того, что на земельном участке планируется строительство нового многофункционального комплекса,

Стороны на основании свободного волеизъявления соглашаемся о нижеследующем:

1. **Колбая Гурами** дает **Иксмшен**-у безотзывное, недвусмысленное, безусловное согласие и предоставляет все полномочия на осуществление демонтажа постройки;

2. **Колбая Гурами** соглашается с тем, что **Иксмшен** в целях выполнения условий, перечисленных в вышеуказанных нормативно-административных актах, будет осуществлять все необходимые юридические процедуры и действия, по мере необходимости, в связи со строительством и вводом в эксплуатацию всех этапов многофункционального комплекса на земельном участке (в том числе: по своему усмотрению и по мере необходимости осуществлять любые изменения (корректировки) в любой проект и/или в границы земельного участка, в красные линии, в задании на планировку многофункционального комплекса плана регулирования застройки на земельном участке, в план регулирования застройки, в согласованные проекты и разрешения на строительство (строительную/проектную документацию), согласовывать архитектурный проект и получать разрешение на строительство, при необходимости вносить коррективы в согласованный проект, быть заказчиком проекта, подрядчиком по строительству, разделять или объединять земельные участки, входящие в состав участков по плану регулирования застройки (грг), осуществлять развёртку существующих жилых квартир, нежилых коммерческих площадей, парковок, подвалов и любых других площадей на земельном участке (где расположено здание и где будет расположен многофункциональный комплекс), осуществлять распределение строительных площадей и регистрировать их в Публичном реестре, разделять и объединять площади в скорректированном проекте;

3. Вышеизложенное также подразумевает, что **Колбая Гурами** согласен на получение нового разрешения и проведение всех юридических и технических процедур, необходимых для демонтажа постройки, осуществления, завершения и ввода в эксплуатацию строительства многофункционального комплекса на земельном участке в связи с истечением срока действия разрешения на строительство многофункционального комплекса на земельном участке. В случае, если для вышеуказанных целей необходима дополнительная подпись или согласие, он обязан подтвердить согласие путем подписания в течение 5 рабочих дней с момента уведомления - у нотариуса, в Мэрии или ином соответствующем учреждении.

4. Подписывая настоящее Соглашение, принимая во внимание цели пункта 2 Соглашения, **Колбая Гурами** предоставляет **Иксмшен**-у безусловное и безотзывное согласие на осуществление **Иксмшен**-ом своих полномочий, а именно, на представление его в ЮЛПП г. Тбилиси и в структурных единицах муниципалитета г. Тбилиси (несмотря на то, что наименования всех ЮЛПП и структурных подразделений не перечислены, полномочия представительства подразумеваются во всех них) осуществляет представительство в ЮЛПП Национальном агентстве Публичного реестра. Настоящее согласие действительно для любого правопреемника **Иксмшен**-а при отчуждении собственности или права требования.

5. Во избежание каких-либо сомнений, пункты 2 и 3 настоящего Соглашения должны толковаться как означающие, что **Колбая Гурами** выражает полное и достаточное согласие с действиями, предусмотренными этими пунктами, и никто не может подвергать это сомнению или дополнительно требовать от **Иксмшен** предоставления какого-либо иного вида согласия и/или дополнительного документа на любой стадии осуществления любого действия, предусмотренного настоящим пунктом.

6. Если в силу каких-либо обстоятельств для выполнения условий настоящего Соглашения требуется согласие и/или документ и/или действие, исполнителем/эмитентом которых должен быть **Колбая Гурам**, он обязан выдать такое согласие/документ и/или совершить требуемое действие.

7. На основании настоящего Соглашения **Иксмшен** обязан не позднее 24 месяцев после подписания идентичного Соглашения всеми лицами, имеющими зарегистрированные

права собственности на существующее строение на земельном участке, обеспечить регистрацию развёртки на том же земельном участке, где площади с тем же объемом и характеристиками – те же характеристики и объем, подразумевает в г. Тбилиси, Н. Хошараули 29, между блоками 4-5 (см. Приложение N2) коммерческая площадь - 89 кв.м., 1 этаж и коммерческая площадь - 125,11 кв.м., 1 этаж (левая сторона реки Мтквари им. Николоза Бараташвили) - получит **Колбая Гурам.**

8. Настоящее Соглашение вступает в силу после подписания всеми лицами, имеющими зарегистрированное право собственности на вышеуказанную постройку, признанными прокуратурой Грузии пострадавшими и процедуры нотариального удостоверения.

9. Настоящее Соглашение действует с момента его подписания до ввода в эксплуатацию нового здания-постройки на земельном участке.

10. К настоящему Соглашению прилагаются следующие приложения: 1. Предварительный Договор купли-продажи недвижимости - 11 страниц 2. Генеральный план - 2 страницы, которые являются неотъемлемой частью настоящего Соглашения.

ООО «Иксмшен Девелопмент»

Гигиадзе Роин л/н 53001010157

Колбая Гурами

Колбая Гурами номер паспорта: 55 1051059

ПРЕДВАРИТЕЛЬНЫЙ ДОГОВОР КУПЛИ-ПРОДАЖИ НЕДВИЖИМОГО ИМУЩЕСТВА

Настоящий Договор (далее «Договор») заключен в городе Тбилиси, 02 мая 2025 года, между следующими сторонами:

с одной стороны, **ООО «Иксмшен Девелопмент»** (и/н 405243482), представленный в лице Гигиадзе Роина (л/н 53001010157) (далее «Продавец»). тел. 599841584

и

с другой стороны, **Колбая Гурами**, дата рождения: 11.04.1959, номер паспорта: 55 1051059, адрес: ул. Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 2-й переулок, корпус 5, квартира 10 тел: +995577305040, +995577775591, +995 522222518

В Договоре Продавец и Покупатель совместно именуются как «Стороны», а по отдельности – как «Сторона».

ПРЕАМБУЛА

1. Продавец в порядке, предусмотренном настоящим Договором, передает в собственность предмет купли-продажи Покупателю при наличии/выполнении следующих условий:

1.1. Уполномоченный административный орган выдает в пользу Компании разрешение на строительство на земельном участке;

1.2. Продавец оформляет аналогичные договоры/предварительные договоры на земельный участок со всеми лицами, указанными в списке прокуратуры;

1.3. Условия настоящего Договора будут выполнены.

1.4. «Первоначальный Продавец» в настоящем Договоре означает ООО «Центр Поинт Сити» (и/н 202210044).

2. Подписывая Договор, Покупатель соглашается с тем, что он имеет право требования к Продавцу только в объеме, предусмотренном настоящим Договором, и только при соблюдении условий, указанных в первом абзаце Преамбулы, и что Продавец не несет ответственности по любым другим требованиям или обязательствам, существующим между Покупателем и любым другим лицом.

3. Продавец в одностороннем порядке уполномочен принять на себя обязательства по настоящему Соглашению, несмотря на невыполнение всех или любого из условий, изложенных в первом абзаце Преамбулы, в этом случае считается, что Покупатель дал предварительное согласие и автоматически согласился с решением Продавца.

Статья 1. Предмет Договора

1.1 Стороны договорились, что Продавец передаст в собственность Покупателю в г. Тбилиси, по адресу ул. Хошараули, д. 29 (кадастровый код земли: 01.13.05.004.139), в строящемся корпусе (далее «Здание»), недвижимое имущество, коммерческое помещение со следующими характеристиками: N1: г. Тбилиси, ул. Н. Хошараули 29, блок 4-5, 1 (первый) этаж, площадь 89 кв.м. (левый берег реки Мтквари имени Николоза Бараташвили) и N2: г. Тбилиси, ул. Н. Хошараули 29, I (первый) этаж, блок 4-5, площадь

Колбая Гурами

125,11 кв.м. (левый берег реки Мтквари имени Николоза Бараташвили) далее «предмет купли-продажи»).

1.2 Право собственности на предмет купли-продажи (включая регистрацию в качестве будущего собственника) передается Покупателю в порядке, предусмотренном статьей 3 настоящего Договора, а окончательная передача права собственности и владения объектом купли-продажи Покупателю в завершённом состоянии, указанном в Приложении к этому же Договору, будет осуществлена не позднее, чем через 48 (сорок восемь) месяцев с момента получения Продавцом разрешения на строительство. Неисполнение Продавцом своих обязательств будет считаться уважительной, если такое неисполнение продолжается не более 6 месяцев. При этом развёртка должна быть осуществлена не позднее 10 (десяти) месяцев с момента получения разрешения на строительство, а передача права собственности будет осуществлена не позднее последнего месяца 2030 (две тысячи тридцатого) календарного года. И в этом случае неисполнение Продавцом своих обязательств будет считаться уважительной, если таковое продолжается не более 6 месяцев.

Статья 2. Стоимость предмета купли-продажи (цена купли-продажи)

2.1. Во избежание каких-либо сомнений стороны подтверждают, что Покупатель полностью оплатил первоначальному Продавцу цену купли-продажи, эквивалентную 579 715 (пятьсот семьдесят девять тысяч семьсот пятнадцать) долларов США в лари на момент подписания Договора. Соответственно, исходя из заключённого соглашения между Продавцом и первоначальным Продавцом, стоимость купли-продажи, предусмотренная пунктом 2.1 настоящего Договора считается полностью уплаченной Покупателем, и Продавец не имеет и не будет иметь в будущем в какой-либо форме дополнительного права требования уплаты от Покупателя, за исключением оставшейся суммы оплаты. А также суммы коммуникаций, который определяется Комиссией по регулированию энергетики и водоснабжения при монтаже. (первоначальным Продавцом считается ООО «Центр Поинт Сити», и/н 202210044).

2.3 После получения коммерческой площади Покупатель не имеет и не будет иметь в будущем в какой либо форме права требования на какую-либо сумму или какие-либо требования к Продавцу, и обязательства по отношению к нему будут считаться полностью выполненными.

Статья 3. Регистрация права собственности на предмет купли-продажи

